# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასა[illegible] განცხადე-ბათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, [illegible] სახლი № 9, ბ. ჩიდღეელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


ორი ადგილია მასწავლებლისა სასოფლო მეურნეობის სოფ. წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში. ვისაც ჰსურს იყოს მასწავლებელი ამა სკოლისა, იმასა ვთხოვთ გამოაცხადოს თავისი სურვილი გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, სადაც შეიტყობს პირობას.

მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი.

შინაარსი: ტფილისი, 23 ივლისი.—ახალი ამბავი.—დაბა-და-სოფელი: სოფ. მუკუზანი.—ნარკვევი.—რუსეთი.—უცხოეთი.—წვრილი ამბები.—გასართობი.—დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

ფელეტონი: სიყვარული (ნათარგმნი მოთხრობა), ორ-ასისა.

ტფილისი, 23 ივლისი

თუ მკითხველი დაჰკვირვებია ჩვენის სოფლების ცხოვრებას, იგი, სხვათა შორის, ერთს ფრიად სამწუხარო ამბავს შენიშნავდა. ჩვენ ვამბობთ მასზედ, რომ ჩვენს სოფლებს სხვა-და-სხვა სენი ეწვევა ხოლმე და უმოწყალოდ, უდროვოდ სწყვეტს მუშა ხალხს სქესისა და წლოვანობის გაურჩევლად, და ზოგჯერ სულ ტყუილ-უბრალო შემთხვევა ასახიჩრებს ადამიანს, და ყოველისავე ამის წინააღმდეგ სოფლელებს არავითარი საშუალება არა აქვთ გარდა იმისა, რომ სოფლის მკურნალებს, მკითხავებს და ზოგჯერ სხვა-და-სხვა მაწანწალა მატყუარას მიმართონ, რომელნიც ექიმობასა და მკითხაობას ძვირად უსმენ და მათ სიცოცხლეს დიდს განსაცდელს მიაყენებენ ხოლმე და ზოგჯერ სრულიადაც უსპობენ. სოფლელი კაცი ასრულებს ყოველს გვარს ბძანებას მკითხავისას, რაც უნდა უსაფუძვლო და მავნე იყოს იგი, სწირავს მკითხავის რჩევით სხვა-და-სხვა საწირავს ხატებს, დიდ ხელფასს აძლევს თვითონ მკურნალს ან მკითხავს, და შველა სნეულებისაგან არსაიდგანა სჩანს. „ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესია“, და სოფლელი კაცი უმეტესს ნაწილად მეტის რწმენითა და გამბედაობით მიჰმართავს ხოლმე სოფლის მკურნალ დედა-კაცს და მკითხავს, ვინემ ნასწავლს ექიმს და აფთიაქს. და აი, იგი რჯულზედ უმტკიცესი ჩვეულება ყოველ წლივ მრავალს მსხვერპლს იწირავს, მრავალ ძალღონეს ბოლოს უღებს, რომელიც ქვეყნის ეკონომიურ წარმატების ბურჯი და საფუძველია. საკვირველი არ არის, ეს ამბავი ქალაქებში მოხდეს ხოლმე, იმიტომ-რომ ქალაქებში სული და ხორცი ადამიანისა სხვა-და-სხვა გარემოებათა წყალობით შეხუთული და დაჩაგრულია; უნდა გვიკვირდეს ის, რომ სნეულება ადამიანს მუსრს ადენს სოფლებში, სადაც, უმეტესს ნაწილად, სუფთა და მარგებელი ჰაერია და სადაც პატიოსანი შრომა და გარჯა ამხნევებს და ახალისებს ადამიანის აგებულებას.

ამ გვარი არა-სანატრელი ყოფა წარმოსდგება ხალხის უმეცრებისა და სიღარიბისაგან და ამაებზეა ხომ დამოკიდებული იგი რჯულზედ უმტკიცესი ჩვეულება; თვითონ ეს ყოფაც აძლიერებს, ფრთას ასხამს ხალხის უმეცრებასა და სიღარიბეს და მძიმე ტვირთად აწვება ხალხის ცხოვრებას. იგი აძლიერებს ხალხის ცრუ-მორწმუნეობას, მაგალითად, იმით, რომ ხალხს ძვალ-რბილში უჯდება ის აზრი, ვითომ ესა-და-ეს სნეულება, ბატონებად წოდებული, ზეციდგან არის მოვლინებული და წამლობას ვერ შევბედავთ, თორემ „ბატონები“ გაგვირისხდებიანო. იგი აძლიერებს ხალხის სიღარიბეს იმით, რომ მუშა, გამრჯელის კაცის სიცოცხლეს ბოლოს უღებს და მაშასადამე თვითოეულს ოჯახს და მთელს საზოგადოებასაც ართმევს იმასა, რისიც მოღვაწეობა შეუძლიან მშრომელს წევრს საზოგადოებისას, დღეს უკარგავს იმავე საზოგადოებას ხვალინდელს მუშასა და ოჯახის იმედს. იგი აძლიერებს ხალხის სიღარიბეს იმით, რომ ძალიან ბევრს ახარჯვინებს წამლობისათვის და ზეცის წყალობის მოსაპოვებლად. შესაძლოა მკითხველს შეენიშნოს, თუ რა დიდი გასამრჯელო, ხელ-ფასი მიაქვს დასტატებულ, მატყუარა მკურნალ-მკითხავებს, თუ რამდენი საკლავი, საწირავი ეხარჯება ხალხს ავადმყოფის მოსარჩენად და ყოვლად მოწყალე უფლის გულის მოსაგებლად. შესაძლოა მკითხველს ენახოს სოფლებში, თუ რა ბარბაროსულ საშუალებით სწამლობენ სნეულთა მკურნალ-მკითხავები; შესაძლოა წაეკითხოს ის სასაცილო და მწარე ფიქრის მომგვრელი პირობა, რომლითაც მკურნალი ჰპირდება ავადმყოფს სნეულებისაგან მორჩენას და განთავისუფლებას ამდენს და ამდენს ხანში და სნეული-კი პირობას უდევს, თუ სნეულებას გადამარჩენ, ამდენი და ამდენი თუმანი უნდა მოგცეო და წინდაწინვე ამდენი და ამდენი თუმანი ბედ მომიციაო. თუ ამ გვარი ხელ-შეკრულობა წაგიკითხავს, მკითხველო, ისიც გეცოდინება, თუ როგორ უსირცხვილოდ ატყუებენ მკურნალ-მკითხავები ავადმყოფს და რა წვა-დაგვის დღეში ჩასცვივიან ხოლმე ავადმყოფნი.

რა წამალი უნდა დაედოს ხალხის ამ გვარს მიდრეკილებას, ხალხის სიცოცხლისა, ჯან-მრთელობისა და საბადებელის დამღუპველსა, იმ მიდრეკილებას, რომელიც თვალს უბნელებს, აუმეცრებს და აღარიბებს ადამიანს? დედა-მიწასავით ძველი და თან მუდმივი ახალი საშუალება ამ სენის წინააღმდეგ სწავლა-განათლებაა, რომელიც ადამიანს თვალს უხელს როგორც თვისს არსებობაზე, აგრეთვე გარეშემო ყოფა-ცხოვრებაზედაც. ამ საშუალების შესახებ ჩვენ აქ თითქმის არაფერს ვიტყვით. აქ მხოლოდ განზრახვა გვაქვს დავასახელოთ ისეთი საქმიანი სახსარი, რომელსაც შეუძლიან წინააღმდეგობა გაუწიოს მკურნალ-მკითხავებს და ხალხს ხელი მოუმართოს გაჭირვების დროს. ამ გვარი საშუალებაა ნასწავლი ექიმი და აფთიაქია. სოფლის ხალხს, რომელსაც ასე შეუბრალებლად სჩაგრავს ყოველ გვარი სენი, აუცილებლად ესაჭიროება ექიმი, რომელიც ბევრად უფრო იაფად დაუჯდება და, უეჭველია, შეძლებისამებრ, სამსახურს გაუწევს. თუმცა სოფლის საზოგადოებას, მეტადრე შეძლებულს, ღონე აქვს წლობით იყოლიოს საკუთარი ექიმი ჯამაგირითა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი დაბა-სოფლები უექიმობას რჩევობენ. ჩვენი კორრესპონდენტი გვაუწყებს, რომ იმისთანა მდიდარ დაბასაც, როგორიც, მაგალითად, ლანჩხუთისაა, არა ჰყავს საკუთარი ექიმი, თუმცა მას არა ერთხელ გამოუცდია, თუ რა არის უექიმობა და რისი მომქმედნი არიან მკურნალ-მკითხავები. ეხლაც-კი მძვინვარებს თურმე იქ ერთი რაღაც საშინელი სენი, ყმაწვილებს უმოწყალოდ ხოცავს, და შველა-კი არსაიდგან არისო. რასაკვირველია, ეს ერთად-ერთი მაგალითი არ არის.

ადვილად შესაძლოა კაცმა გამოიანგარიშოს, რომ ექიმისა და აფთიაქის შენახვა მეტად უფრო იაფად ჯდება, ვინემ მკურნალ-მკითხავებისა. მხედველობაში მიიღეთ რომელისამე სენის გავრცელება სოფელში, მერე ზედი-ზედ იანგარიშეთ გასამრჯელო, რომელიც მკურნალ-მკითხავებს ეძლევა, საკლავი და შესაწირავი ხატისათვის, ის უსარგებლოდ დაკარგული დრო, რომელსაც ავადმყოფი დაჰყოფს ქვეშსაგებში, ზოგჯერ სულ ტყუილ-უბრალოდ დასახიჩრება მუშა-კაცისა, იმოდენად დასახიჩრება, რომ ადამიანს მუშაობა არ შეეძლება, ამას დაუმატეთ ისიც, რომ უცოდინარი მკურნალ-მკითხაობა ხშირად არა სასიკვდილო სენს სასიკვდილოდ გადააქცევს ხოლმე, და თქვენ ადვილად წარმოიდგენთ,

# ფელეტონი

## სიყვარული

(შემდეგი*)

— მაშ ნუ თუ თავისუფლება არ გიყვარს და ვინც შეგხვდება, იმას გაიხდი პატრონად, იმას დაემონები?— ჰკითხა ცხარედ მისს ღეზიმ და თვალებში შეჰხედა:—ნუ თუ არავინა გყავს ისეთი კაცი, რომელიც გიყვარდეს, გიზიდავდეს და რომლის შერთვასაც გულით იყო მოწადინებული?

— მე?—იკითხა დონნა კლარამ.

— ჰო, შენ, შენ. ახალგაზდა ქალებს ყოველთვისა აქვთ თავისი იდეალი, რომელზედაც ოცნებობენ და ლანდად წარმოიდგენენ ხოლმე: შენც უნდა გქონდეს შენი იდეალი.

დონნა კლარა ჩაფიქრდა; სახეზედ მწუხარება დაეტყო და ტუჩები ყმაწვილურად მოეკუმა.

— იდეალი, სიზმარია, სიზმარი... ბუტბუტებდა კლარა:—ვისა სწამს სიზმარი?

— სიზმარი ჩვენი სიცოცხლეა,—სთქვა მისს ღეზიმ ჩუმად და დაბეჯითებით.

— მეცა ვხედამ სიზმრებს... ვოცნებობ,—უპასუხა კლარამ—მაგრამ მეშინიან ვისიმე სახელი ჩავატანო ჩემს ოცნებაში, მეშინიან, რომ ვაითუ ჩემი სიზმარი მეტად კაი სიზმარი გაჰხდეს, გულს-წარმტაცი... და გამაუბედუროს, სიცოცხლე მომიწამლოს.

თვალებზედ ცრემლები მოადგა; ფერი წაუვიდა და კანკალებდა, თითქოს ქვითინს იმაგრებსო. მაგრამ არ იტირა-კი, წამოწითლდა და გაიღიმა.

— შენ, შენ მიამბე შენი სიზმარი, შენნი ოცნებანი, შენი იდეალი, ღეზი. მე უგრძნობელი არსება ვარ; ფულია მხოლოდ ჩემთვის საჭირო, ოცნებობა არ შემიძლიან. მითხარ იმის სახელი, მარგალიტა, ვინც გინდა, რომ იქმრო, ვის თხოვნასაც მოწადინებული ხარ.

— მაგისთანა კაცი არ არსებობს,—უპასუხა ფერ-მიმკრთალმა ქერა და თეთრ-ყირმიზმა ქალმა.—არა, არავინ არის მაგისთანა.

— ავის გულისა ხარ, მიმალავ, არ მეუბნები.

— არ მოიპოვება, თორემ რომ იყოს ვინმე...

— რომ იყოს ვინმე?..

— მე თვითონ პირ-და-პირ მივიდოდი და ვეტყოდი: მიყვარხართ-მეთქი.

— იმას რომ არა ჰყვარებოდი.

— მოვკვდებოდი, თავს არ ვიცოცხლებდი.

— ნურა-რას ამბობ სიკვდილზე: ტანში შიშის ჟრუანტელი მივლის... თქვენ, ინგლისელი ქალები, ყველაფერს ჩაიდენთ, ისეთი კერპები ხართ.

— ნუ გეშინიან,—უპასუხა მისს ღეზიმ და სახეზედ ნელი ღიმილი გამოესახა:—ჩემი გმირი ჯერ კიდევ არ დაბადებულა.

ორივემ ერთმანერთს ალერსიანად შეჰხედეს, როგორც მეგობარმა ქალებმა იციან, როცა ერთმანერთს თავის გულის-პასუხს გაანდობენ ხოლმე, თუმცა ორივე თავის საიდუმლოს მაგრად ინახავდა და არ გაუმჟღავნებია.

ბალიდამ სტუმრებმა დაშლა დააპირეს და ამათ გვერდზედ გაივლიდნენ ხოლმე, შინ მიმავალნი; ნაცნობები და ახალგაზდა ქალები შედგებოდნენ ხოლმე, ეტყოდნენ ერთმანერთს რამდენსამე სიტყვას და მერე ისევ მიდიოდნენ. უეცრად დიდის დარბაზის კარებში გამოჩნდა დონნა მარია დი-ლანჩიანო, მაღალი, წელ-წერწეტა და მარმარილოსამებრ თეთრის გულ-მკერდ-მკლავებით. ოქროს-ფეროვანი თმები მაღლა აეკრიბა და მშვენიერ კოშტად წამოედო კეფაზედ; თმებში გაეკეთებინა ბრლიანტებით მორთული პატარა გვირგვინი-ქინძისთავი; დონნა მარია შავს კაბაში იყო და ეს-კი იშვიათია ბალში; გრძელი და მძიმე კაბის უკანა კალთა ათას გვარად მოკეცილიყო და შრიალით დასთრევდა. მკერდსა და მკლავებზედაც ბრლიანტები ჰქონდა გაკეთებული; თვალები ზურმუხტივით უბრწყინავდა. დონნა მარია კარებთან იდგა და ჩუმად ულიმოდა ვიღასაც, რომელიც ჯერ ისევ საბალო დარბაზში იყო და არა სჩანდა. ეს ვიღაცა შემდეგ მიუახლოვდა დონნა მარიას, ჩუმად შეჰხედა თვალებსა და ღიმილზე და მკლავი გაუწოდა. ეს კაცი დონნა ფრანჩესკო იყო.

ნელის ნაბიჯით და ხმა ამოუღებლივ გაიარეს იქვე მჯდომ ორ ყმაწვილ ქალის წინ არა-თავაზიანმა ლამაზმა თავადიშვილმა და შავს კაბაში ჩაცმულმა მშვენიერმა დონნა მარია დილანჩიანომ; არავისათვის თავი არ დაუკრავთ, არავის დალაპარაკებიან, არავისათვის შეუხედნიათ, ისე გავიდნენ ჩუმად, ხელი-ხელს გაყრილნი, თითქოს ერთმანერთზე რკინის ჯაჭვით არიან მიბმულნი და ვერაფერი გაწყვეტს-რა ამ რკინის ჯაჭვს, ვერა გააცალკევებს-რა ამ ორ ადამიანთაო.

ყმაწვილმა ქალებმა ერთმანერთს შეჰხედეს... ორივენი გაფითრებულნი იყვნენ და სიკვდილს დამგზავსებოდნენ.

II

დონ ფრანჩესკო იჯდა თავის მოსართავ ოთახის გრძელს სელზედ და არხეინად სიგარეტსა სწევდა. იმის გვერდით პატარა სტოლზედ ვერცხლის ტაბაკი იდგა სამის წერილით. ორი წერილი დიდი იყო, მძიმე, ლაქ და ბეჭედ დაკრული; მესამე-კი უბრალო, პატარა, სადარბაზო ბარათი იყო და, ეტყობოდა, გამომგზავნს საჩქაროდ ჩაედვა პატარა პაკეთში. დონ ფრანჩესკო ზარმაცად, დაღალულის კაცის სახით შეჰყურებდა წერილებს, შემდეგ ისევ სიგარეტს აბოლებდა და თავს იქნევდა, თითქოს მოწყენილია და როგორმე უნდა თავი გაირთოსო და გაიმხიარულოსო. ერთხელ აიღო პატარა პაკეთი, უნდოდა გაეხსნელად გაეგო შიგ რა დევსო, მაგრამ ვერ მოახერხა და ისევ თავის ალაგასვე დას-

*) იხ. „ივერია“ №№ 149 და 150.

თუ რაოდენი ზარალი, ხარჯი ფულითა, ნივთითა, დროითა, სულითა და ხორცითა ეძლევა სოფლის ხალხს. ეხლა იანგარიშეთ, თუ რა დაუჯდება დაბა-სოფლებს ექიმი და აფთიაქი. თუ დაბა ან სოფელი დიდი და შეძლებულია, მაშინ თვითოეულმა ოჯახობამ რომ თითო-ოროლა მანათი გაიღოს ექიმისა და აფთიაქისათვის, ეს ისეთს ჯამს შეადგენს, რომ ექიმსაც აუვა და აფთიაქსაც. მკურნალ-მკითხავების შენახვა-კი ამ გვარ დაბა-სოფლებში ბევრად აღემატება იმ ჯამს. თუ ერთი რომელიმე დაბა ან სოფელი მცირეა მკვიდრთა რაოდენობით ან შეძლებით, მაშინ რამდენისამე ახლო-მახლო სოფლის საზოგადოებას შეუძლიან ერთი ექიმი და აფთიაქი იყოლიოს და შეუწუხებლად გაუძლვეს ამის ხარჯსა.

ექიმი-კი, გარდა იმისა, რომ სნეულებს უფრო დიდის მოხერხებით და ცოდნით უწამლებს, შეძლებისამებრ რიგიანად და საფუძვლიანად ისწავლის და დაუკვირდება ხალხის ყოფა-ცხოვრებას და შესაძლოა ამ ნაირად ხალხს თავს ააცდინოს მრავალი განსაცდელი. ექიმების შემწეობით რიგიანად შესწავლილი იქმნება მთელის ქვეყნის და ხალხის ჯან-მრთელობის ადგილობრივი გარემოება და ვითარება. ამ გზით მავალი და მოცადინე ექიმი ბევრს იმისთანა რასმეს გამოარკვევს და გვაცოდინებს, რაც უამისობით, ჯერ ხანად, ბნელით მოცულია, ხალხის და ჩვენის უცოდინარობის გალთის ქვეშ თავს იმალავს და ეგრე უჩინარად ხალხის სარჩოსა და სიცოცხლეს ძირს უთხრის და პირ-ქვე ამხობს.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** 22 ივლისს, მათის უდიდებულესობის დედოფლის მარია თეოდორეს ასულისა და მის უმაღლესობის მარია ალექსანდრეს ასულის სახელწოდების დღეს, სიონის სობოროში გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი და დაესწრნენ დიდ-კაცნი და მოხელენი; იმავ დღეს ბაირაღები იყო გამოკიდებული სახლებზე და საღამოს განათებული ჰქონდათ ფანჯრები.

*** სამშაბათს კუკიაში გამოსცადეს წყლის გამყვანი მილები. ბ-ნი ქალაქის თავი, ერთი ხმოსანთაგანი და მრავალი ხალხი დაესწრო ამ სასიამოვნო სანახავსა. მთელის დღის განმავლობაში გამოსცადეს ექვსის ვერსტის და მანძილზედ მხოლოდ ერთ ადგილას აღმოჩნდა გატეხილი მილი, რომელიც იქვე, ბ-ნის თავის განკარგულებით, გამოსცვალეს. ამ სახით, მილის წყალს კაი პირი უჩანს და იმედიც არის, რომ სხვა ადგილებშიაც კარგად იმუშავებს. მეტადრე ისიამოვნა ხალხმა იმითი, რომ გამოცდაზე ქუჩებსა რწყავდნენ მილის წყლითა.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ შემოდგომიდამ გაიხსნება სამრევლო სკოლა კუკიაში ალექსანდრე-ნეველის ეკლესიასთან. მრევლს ამოურჩევია თავისი საკუთარი სამზრუნველო რჩევა, რომელმაც უნდა ინაღვლოს სკოლის საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე. სხვათა შორის მზრუნველთ ექნებათ მრევლისაგან მიბარებული ფული, რომლიდამაც შეძლებისადა გვარად უნდა ღარიბ შეგირდებს უყიდონ ხოლმე ტანთ-საცმელი, წიგნები და სხვა სამოსწავლო კუთვნილებანიო. უეჭველია, თუ მრევლი მართლა ერთგულად არის მოწადინებული ამ საქებურ საქმესა, არც გაუჭირდება მისი რიგიანად შესრულება.

*** შაბათს, 25 ივლისს, «Семейный Садъ»-ში ბ-ნ რატილის მიერ გამართული იქმნება კონცერტი. მონაწილეობას მიიღებენ ბ-ნ აღნიაშვილის ხორო, ქალბატონი პორფიროვისა და ბ-ნი პავლოვი. დასასრულში წარმოდგენილ იქნება კომიკური სცენა ოპერიდგან „სტრადელლა“—თხზულება ფლოტოვისა.

*** ბ-ნ გ. დ. ქართველიშვილისაგან განზრახული დაბეჭდვა „ვეფხვისტყაოსნისა“ ორშაბათიდგან დაიწყობა. ეხლა თითქმის სრულებით მზად არის ყოველივე, რაც აქამდის აბრკოლებდა საქმის აღსრულებასა. ჩვენა ენახეთ ამ დღეებში პეტერბურგიდამ მიღებული არშიები ყველა ფურცელთა გვერდის გასამშვენიერებლად, აგრეთვე თვითოეულის თავის დასაწყისი დიდრონი ასოები და ყოველის კარის დამამთავრებელი ბოლოში მოსაქცევი ნახატები, ქართულს გემოვნებაზე შესრულებულნი.

*** სიღნაღიდამა გვწერენ, რომ ველისციხეში რაღაც მოარულები დაიარება დიდ-პატარეებზე; ჯერ ასტკივათ ხოლმე მუცელი და შემდეგ ფაღარათობა ემართებათო.

*** იქიდგანვე გვწერენ: „ამ დღეებში აქ ერთი საცინარი და სატირალი ამბავი მოხდა: მეზობლის ძაღლება წაიკიდნენ; პატრონები გამოვიდნენ ძაღლების გასაშველებლად და ახლა იმათ მოუვიდათ ჩხუბი. მოჩხუბარი კაცის შვილი გამოვიდა, არცხვენდა თავის მამას ამ გვარ საქციელისათვის და ეწეოდა შინ წასაყვანად. ახლა მამა-შვილთ მოუვიდათ ჩხუბი. მამას ხელში კეტი ეჭირა, დაჰკრა შვილს და თავი გაუსისხლიანა; მერე ცოლი მიეშველა, იმასაც ერთი უთავაზა და თავი გაუტეხა. ამასობაში ძაღლები მორიგდნენ, ერთმანეთს მშვიდობიანად გადარჩნენ, და კაცმა-კი თავის ცოლ-შვილს თავ-პირი დაამტვრია“.

*** შორაპნიდამა გვწერენ, რომ 18 ივლისს დაიშალა სოფ. წევის ბაზრობა. ვაჭრები შარშანდელზედ უფრო მხიარულად წავიდ-წამოვიდნენ, რადგანაც წელს უფრო კარგი ვაჭრობა იყო; ამასთანავე ვაჭრების რიცხვიც უმრავლესი იყო. წესიერება კარგად იყო დაცული, ასე რომ არაფერზე მოქეიფეთ არავითარი უწესობა არ ჩაუდენიათ. ხოლო „ღამის რაინდებმა“ მთლად გაუცარცვეს ოჯახი კიკო გაჩეჩილაძეს, წაიღეს იმის სტუმრების ტანისამოსი. სტუმარი მანდილოსნები ერთმანერთს შესტიროდნენ—ზოგი კაბას ჩივოდა, ზოგი წამოსასხამებს და კიდევ სხვასა.

წელს კარვებისაგან ქირა შემოვიდა 1420 მანეთი; აქედგან მანეთზე აბაზი ეკკლესიის სასარგებლო გაიღეს და შესდგა 284 მანეთი.

ამისთანა შემოსავლიან სოფელს ნუ თუ გაუჭირდება, რომ ერთ-კლასიანის სკოლისათვის ხეირიანი შენობა შეიძინოს და ამით მასწავლებელი იძულებული არ იყოს ხის ქვეშ ასწავლოს ხოლმე ბავშვებს, როგორც ამას „ივერიის“ მე-145 № მოგვითხრობდა ამას წინად.

*** იქიდამვე გვწერენ, რომ სოფ. წევაში, გლინავის ღელეში, რკინის წყალი გამოჩნდაო. წყალი გემოთი მჟავეა და სუნი რკინეულის ჟანგისა აქვსო.

*** ქობულეთიდამ ბ-ნი ის. კაიკაციშვილი გვატყობინებს, რომ იქ, ახლო-მახლო სოფლებში, ამ ბოლოს დროს ყმაწვილებს მოედვათ ჭირი ყივანა-ხველა. რადგანაც ხალხმა არ იცის რიგიანი მოვლა ავადმყოფებისა, არ არიდებენ არც სიცხესა და არც სიცივეს, ამის გამო ყივანა-ხველიანებს სხვა სნეულებანიც გადაედებათ ხოლმე! ამ ავადმყოფობამ უკვე იმსხვერპლა რამდენიმე ყმაწვილი. ხალხს არა თუ ნასწავლი ექიმი, ფერშალიც-კი არა ჰყავს, არც საკუთარი და არც მთავრობის მიერ დანიშნული.

მართალია, შეგვიძლიან ექიმის მოწვევა ბათუმიდგან, მაგრამ ამას მხოლოდ მდიდრები მოახერხებენ, რადგან თითო მოსვლაზე 10—12 მანათი უნდა გაიღოს კაცმა. აბა, აქაურს გლეხს ვინ მისცა ამოდენა ფული! გლეხი კაცი მიჰმართავს ხოლმე „ჯადოდედაბერს“ და ესეც აბაზად იძლევა რაღაც „ღელის“ წამლებს, რომელიცკი არა ჰშველის ავადმყოფს, უფრო ჰზნევს.

*** იმავე კორესპონდენტის სიტყვით, რკინის-გზის მატარებელმა ამ წელს მოჰკლა, ბათუმსა და მდ. ჩოლოქს შუა, სამი კაცი და ერთი ქალი; და პირუტყვის ხოცვას ხომ ანგარიში არა აქვსო.

*** სოფ. ყულაშაშიო, სწერენ „Новое Обозрѣніе“-ს, ძალიან გაცხარებული ომი ასტყდა თავ. მიქელაძეთა და იქაურ გლეხთა შორისო. საქმე ის არის, რომ გლეხებმა წააგეს სასამართლოში თავიანთი მამულები. თ. მიქელაძეებს აუღიათ აღმასრულებელი ფურცელი და ბოქაულის შემწეობით შესულან მფლობელობაში, მაგრამ გლეხები არ ანებებენ მამულებს. მაზრის უფროსობა მისულა ყულაშას და შეუკრებია სოფლის წარმომადგენელნი გლეხთ დასამშვიდებლად. გლეხები ამბობენ, რომ ეს ადგილი ჩვენ მიერ შესყიდულია, გვაქვს სიგელები, დამტკიცებულნი და ხელმოწერილნი. გლეხებს ეუბნებიან, რომ სასამართლოს განაჩენს წინ ვერაფინ დაუდგებაო და, თუ ზარალი რამ მოგეცათ, მიჰმართეთ იმავ სასამართლოსაო, ყულაშლებს არა სჯერათ, რომ სასამართლოში გაიტანონ რამ; რა-კი ერთხელ მიქელაძენი ხელთ იგდებენ, მერე გვიან-ღა იქნებაო. თურმე გუბერნიის უფროსნიც აპირობენ ყულაშელთა დამშვიდებასა.

*** იმავე გაზეთში წავიკითხეთ წერილი ექიმის დ. ერისთავისა, რომელიც ერთი წელიწადია გურიაში სცხოვრობს და სწამლობს იქაურს ავადმყოფებს; ხოლო უადგილოდ არის ჯერა. ეხლა-ხან გუბერნიის საექიმო გამგეობამ ამიკრძალაო, ამბობს ბ-ნი დ. ერისთავი წამლობა და ხელი ვეღარ მიმიწვდენია ავადმყოფებისათვისაო.

მით უფრო საკვირველია ეს ამბავი, რომ ჩვენში საზოგადოდ ძრიელ ცოტანი არიან მაზრებში ექიმები.

---

დეა. უნდოდა დაეძინა, თვალები მიილულა, მაგრამ სამივე წერილი თვალწინ უდგა და არ ასვენებდა... ჩასთვლიმა და წამოუდგა ფერ-მიმკრთალი სახე, ქერა თმებ-გადაშლილი... წითლად შეჟინჟღლული სახე, ალისფერი ბაგენი, შავი თვალები... და კიდევ სხვა თვალები, რომელნიც ზურმუხტსავით ენთნენ და ბრწყინავდნენ... ფრანჩესკომ თავი გაიქნია, თითქოს თვალ-წინ ცხადად წარმომდგარ ლანდთ იშორებსო, ხელი გაიშვირა და ერთი წერილი აიღო.

ყმაწვილი-ქალი სწერდა:

— „დღეს მე ჯვარს ვიწერ თავად შილლინგფურსტზე. სამივე ქორწინება ერთს დღეს უნდა გვქონდეს. ჯერ მე და ეს მოხუცი მოხელეს წინაშე შევერთდებით, მოქალაქობრივის წესით, და მერე ორს ეკკლესიაში დავიწერთ ჯვარსა—კათოლიკურსა და პროტესტანტურში. სამჯერ უნდა გამოვაცხადო, რომ თანახმა ვარ ამ მოხუცს მივთხოვდე-მეთქი, სამჯერ თავი უნდა დავიქნიო და „ჰო“ ვსთქვა; უნდა გავყვე ამ მოხუცს თავის ციხე-კოშკში, სადაც თუმცა გერმანიისავე ერთგულნი ქვეშევრდომნი ვიქმნებით, ხოლო გლეხები, მსახურნი და სტუმრები მის ბრწყინვალებას დაგვიძახებენ. დედაჩემს ძალიან უხარიან, რომ ვსთხოვდები; უხარიან, რომ დამაბინავა და მომიშორა თავიდგან; დღეიდგან თავისუფალია, მხიარული; ვინ-ღა მოიგონებს, რომ დონნა ოლიმპია დი-ნეროლას გათხოვილი ქალი ჰყავსო? და თითონაც ძალიან ესიამოვნება, როცა გაზვიადებულის კილოთი იტყვის: „ჩემი ქალი მდიდარის თავად ფონ-შილლინგფურსტის მეუღლე გახლავთო“... ჩემს ძმას ფერდინანდსაც უხარიან ჩემი გათხოვება: ჩემის ციხე-კოშკის გარშემო მშვენიერი სანადირო ადგილებია და ნადირობა, თქვენც კარგად იცით, სულია ჩემის ძმისათვის. ამას გარდა, ეტყვის დედას, რომ შილლინგფურსტში მივდივარო და ნიცასა, ტრუვილსა, ლიუცერნსა და შოტლანდიაში-კი ამოჰყოფს თავსა. მიზეზი სულ გათხოვილი და იქმნება. ჩემი საქმრო, თავადი ფონ-შილლინგფურსტც მადლიერი და მოხარულია. მოხუცებულია, მაგრამ სახით არა უჭირს-რა; ბევრი უცხოვრია პარიჟში, დიდ-ძალი ფული უჭამია და ეხლა ერთად-ერთი მისი სურვილი ის არის, რომ, შილლინგფურსტის ბედნიერ მკვიდრთა თხოვნისამებრ, ცოლი შეირთოს, მემკვიდრე ეყოლოს,—ერთის სიტყვით, ბედნიერად უნდა გაატაროს თავისი უკანასკნელი წლები. თავადს მე საკმაოდ ლამაზად მივაჩნივარ და მოეწონვარ კიდეც. დიდის ყურადღებით მექცევა; ბევრი მშვენიერი და ძვირფასი ნივთეულობა მაჩუქა და ჯიბის ფულიც საკმაოდ დამინიშნა: ამ ფულით შემიძლიან თორმეტი კაბა შევიკერო წელიწადში ისე, რომ არავის ვალი არ დამედოს. მე?.. მე-კი მადლიერი ვარ ჩემის თავისა?..

„მე თქვენ მიყვარხართ, ფრანჩესკო, მიყვარხართ ღრმად და გაუკურნებლად; ვსწერ ამ წერილს და ხელი მიკანკალებს, გულის-ცემა მისუსტდება. მე თქვენ მიყვარხართ; თქვენ იცით ესა. სუტრის ბალში თქვენ წითელი ვარდი გამომართვით და წაიღეთ, ჩემი სული იყო ის ვარდი, ჩემი სული წაიღეთ თქვენა. ყოველთვის, როცა ჩვენ შევხვდებოდით ხოლმე ერთმანერთს, როცა დამაცქერდებოდით, მიჩურჩულებდით მგრძნობიერს, საუცხოვო, გულის-დამწველს სიტყვებს, ვგრძნობდი, რომ ჩემი სული, ჩემი გული, თვითონ მეც თქვენ და მხოლოდ თქვენ გეკუთვნოდით. რა ალერსიანი, ნაზი ხმა გაქვთ! დღეიდგან ვეღარ მოვისმენ თქვენს სასიამოვნო ხმას, არ უნდა მოვისმინო... მაშ ასე გულ-დაკოდილი რაღათ ვირთამ მოხუცს შილლინგფურსტს? იმიტომ-რომ ასეა საჭირო. ეგ არ იქნება დღეს, ხვალ სხვა გამოჩნდება, უეჭველია სხვა გამოჩნდება, ნემეცი იქნება, თუ ინგლისელი, ვენეციელი, კალაბრიელი, ბებერი, ახალგაზდა,—სულ ერთია, ხოლო სხვა-კი იქნება და არა თქვენ. მთელი ჩემი ოჯახობა, ჩემის სამშობლოს ჩვეულებანი მაძალებდნენ, რომ რაც შეიძლება ჩქარა გავთხოვილიყავ; იმდენი ღონე და ძალა არა მქონდა, რომ ამ ძალ-მომრეობას წინ აღვდგომოდი და არ დავთანხმებულიყავ. ალიაქოთი ამეტეხნა, დავიდარაბა? რაო ჩემო? ქვეყანა ერთს წუთს ალაპარაკდებოდა, შემიბრალებდა და შემიცოდებდა და მეორე წუთს-კი ჩემზედვე გაიცინებდნენ. ეს იქნებოდა და ეს. ეხლანდელს დროში, ასეთს უნდო, თავ-ქარიანს და თავ-მოყვარე დროში აყალ-მაყალისა და დავიდარაბის ატეხა არა ღირდა...

„ხოლო, უნდა მართალი და გამოტეხილი გითხრა, ფრანჩესკო, ერთ ხანად ფიქრად გამიელა, თავს მოვიკლავ, ჩამოვირჩობ, წყალში გადავარდები და იმას არ მივთხოვდები, ვინც არ მიყვარს-მეთქი. ღამე იყო, თქვენმა სიყვარულმა მაწამა; ის ფიქრი უფრო მტანჯავდა, რომ თქვენ უნდა გამოგთხოვებოდით სამუდამოდ და მოხუცებულს ნემეცს წავყოლოდი. იმის მაგიერ, რომ ფანჯარა გამეღო, გადავარდნილიყავ და თავი მომეკლა, მე, როგორც მორჩილსა და მოსიყვარულე ქალს შეეფერება, წაველი და დედაჩემს მუხლებ-ქვეშ ჩავუვარდი... იმ ღამეს დედაჩემი ძალიან ლამაზი იყო, თეთრის ქიშმირის კაბა ეცვა და ის-ის იყო დაბრუნებულიყო ბალიდგან! მე ყველაფერი ვუამბე, ყველაფერი. მე ვტიროდი, ვქვითინებდი და შავს თმებს ვიგლეჯდი, იმ თმებს, რომელიც თქვენ ისე ძალიან გიყვარდათ. პირველში ეს ამბავი დედაჩემს ძალიან ეოცა, გული მოელბო და მთელი ღამე ისე გაატარა, რომ მიალერსებდა, მკოცნიდა და ჩემთან ერთად ცრემლებსა ჰღვრიდა. ნუგეშს მაძლევდა, მარიგებდა, რომ შენს თავს არაფერი აუტეხო-რა, რადგან ამაო იქნება, მაგით მტერს გაახარებ, თორემ შენს თავს არაფერს არგებო. ჩემი ერთად-ერთი საბუთი, რომ ფრანჩესკო მიყვარს-მეთქი, ერთის სიტყვით დაარღვია: მკითხა, იმასაც უყვარხარ და უნდა შენზედ ჯვარის წერა, თუ არაო? რა პასუხი უნდა მიმეცა, ფრანჩესკო, რა მეთქვა? მე არ ვიცი თქვენი გრძნობა, თქვენი ფიქრი ჩემთვის დაფარული და საიდუმლოა. რამდენჯერაც გითქვამთ ჩემთვის, რომ მიყვარხარო, თქვენი ხმა ყოველთვის ნაზი იყო ხოლმე, ალერსიანი და თვალებში-კი გულცივობა გეტყობოდათ...

ორ-ანი

(შემდეგი იქნება)

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. მუკუზანი (კახეთი), მკათათვის 15-სა. მუკუზანი თუმცა პატარა სოფელია, მთით და ბარით არ არის მდიდარი, მაგრამ ვენახებით და წყლებით სხვა სოფლებს გაცილებით სჯობია. აქაური ღვინო გათქმულია და კარგს ფასშიაც იყიდება. მუკუზანშია თ. ჭავჭავაძიანთ ზვრები. აქ არის თ. დავით ჭავჭავაძეს ნაქონი ზვარი, რომელიც მიჰყიდეს სასახლეს და ამიტომ ახლა „სახელმწიფო ზვარს" უწოდებენ. შესანიშნავია ეს ზვარი როგორც სიდიდით, აგრეთვე ნამუშავრობით. კაცი ძლივს გაუწვდენს თვალს ამ ზვრის სიგრძე-სიგანეს; შუა ზვარში გაყოლებულია ქუჩების მგზავსად, ქვიშით მოფენილი ფართო გზები; ზვარიც გაყოფილია ქალაქის ქუჩებსავით რამდენსამე ნაწილად, რომელიც იცნობება თუნუქზედ წარწერილ და ხეზედ მიკრულ ციფარებით. შუა ზვარში ჩამოდის დიდი წყალი, რომელიც მუკუზანში წისქვილებსაც აბრუნებს და სოფ. ველის-ციხეში სასმელ-სარწყავ წყლად ჩამოდის. ზვრის თავში სდგას შესანიშნავი მარანი, რომელშიაც 200—300 ვედროიანი ბოჩკებია გამწკრივებული. იქავე სდგას ღვინის მკეთებლის ორ-სართულიანი მშვენივრად მორთული სახლი, რომლის სანახავადაც ხშირად მოდიან ხოლმე ახლო-მახლო სოფლელები. თუმცა ეს ერთი წელიწადია რაც მუშაობენ, მაგრამ ჯერაც არ არის დამთავრებული. ყოველ დღე დიდძალი მუშა ჰყავთ. სამარგვლეზედ სულ დედაკაცობა დადის ახლო-მახლო სოფლებიდგან და დღეში შვიდ შაურად მუშაობენ. მშვენიერი სანახავია საღამოობით, როცა ზარს დაჰკრავენ, მუშაობას ანებებენ თავს და ზვრის სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან გამოდიან დედაკაცები, რომელნიც ბოლოს ერთად შეგროვდებიან ხოლმე.

მუკუზნის გარდა სხვა სოფლებშიაც არის სახელმწიფო ზვრები. ყველაზედ დიდი, რამდენისამე ვერსის სიგრძე-სიგანით და თავის მოწყობილის მარნით, სახელმწიფო ზვარი არის სოფ. ნაფარეულში. სოფ. წინანდალშიაც, სადაც მარანიც არის და სასახლესაც აშენებენ, არ არის პატარა ზვარი; აგრეთვე ურიათუბანში. აბა, რამოდენა მუშაობა დასჭირდება ამდენს ადგილებში! თუ ღმერთმა კახელებს მისცა დაკვირვებითი და მიბაძვითი ნიჭი, ეგები ამათგან ისარგებლონ; გააშენონ ვენახები ამათებურად, ე. ი. ჯერ კარგად დაბარონ მიწა, შემდეგ ღრმათ, მწკრივად, ერთ არშინ სიგრძე-სიგანეზე ჩაყარონ ვაზები, რომელიც ორ წელიწადს ისე გაიზრდება, რომ კიდევაც დაისხამს. თუ ნაცარი გაუჩნდა, გოგირდი იხმარონ და შეაყარონ ვაზის მტევნებს. ღვინოც ამათებურად დააყენონ სხვა-და-სხვა მანქანების შემწეობით. თუ იტყვიან, ძნელია მანქანების მოპოვება და ძვირად დაგვიჯდებაო, შეადგინონ ამხანაგობა და საერთოდ გამოიწერონ მანქანები. თუ სხვა ვერა, ყურძნის საწურის მანქანა ხომ ადვილი მოსაპოვებელია; აგრეთვე ღვინის გადაღებაში „ნასოსები" იხმარონ და არც ის დაუჯდებათ ძვირად. ერთის სიტყვით, თუ მოინდომეს, რას არ იშოვიან, რას არ გააკეთებენ, და თუ ისევ უწინდებურად ყურძნის წურვა, ფეხით ჭყლეტა არჩიეს, რა გამოვიდა!.. ლაპარაკია, ვითომ წინანდლის ახლო, სოფ. კისისხევში, აპირებენ მევენახობის სკოლა დაარსონო; ღმერთმა ჰქმნას, რომ სისრულეში მოიყვანონ! ეს მით უფრო ადვილი მოსახერხებელია, რომ ბევრი შრომა არ დასჭირდებათ. პრაქტიკისათვის შეგირდებს შეუძლიანთ წინანდლის მარანში იარონ და იქ შეისწავლონ ღვინის დაყენება; ვენახის კეთებას-კი თითონ კისისხევში ისწავლიან. ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ხმები ასრულდეს, და მერე იმედია სხვა სოფლებშიაც დააწესებენ ამ გვარ სკოლებს.

თომა კახელი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Новое Вр."-ს კორრესპონდენტი მოგვითხრობს დაწვრილებით, როგორ შესდგა ბოლგარიის ახალი სამინისტრო და როგორ დაეთხოვა სამსახურს რადოსლავოვის კაბინეტი. კორრესპონდენტის სიტყვით, სარეგენტოსა და სამინისტროს შუა დიდი უკმაყოფილება სუფევდაო. იმათ მოსარიგებლად ბევრსა ცდილობდნენ ზოგიერთი მშვიდობის მოყვარე დეპუტატები, რომელნიც სთხოვდნენ და ეხვეწებოდნენ მინისტრებსაცა და რეგენტებსაც, დამშვიდდით, თანხმობით იმოქმედეთ, თორემ თქვენი უსიამოვნობა ცუდად იმოქმედებს ახლად ამორჩეულს მთავარზედაო. ბოლოს ამ დეპუტატების მეცადინეობით შესდგა საიდუმლო კრება, რომელზედაც პირველად სტამბულოვმა დაიწყო ლაპარაკი:

— ბოლგარიის წარმომადგენელნო, მიჰმართა სტამბულოვმა კრებას,—რაკი მთავარი ავარჩიეთ ბოლგარიისათვის, რეგენტებს საქმე აღარა აქვთ-რა და ამიტომ გთხოვთ გაგვანთავისუფლოთ ჩვენის მძიმე მოვალეობისაგან.

— დარჩით, დარჩით, ვიდრე მთავარი მობრძანდებოდეს ბოლგარიაში,—შესძახეს დეპუტატებმა.

— ჩვენ აღარ შეგვიძლიან, ბატონებო, ვმართოთ ბოლგარიის საქმეები,—განაგრძო სტამბულოვმა. აღარ შეგვიძლიან იმიტომ-რომ ზოგიერთი მინისტრები და ჩვენი თანაშემწენი მეტად გვეწინააღმდეგებიან და, არა თუ ასრულებენ ჩვენს სურვილს, ჩვენს განკარგულებას, არამედ გვდევნიან კიდეც. ამას წინად მეტყუროვი იძულებული იყო ფილიპპოპოლს წასულიყო და იქ შეეფარებინა თავი, ჟივკოვი—აქ, ტირნოვოში გამოიქცა, და მეც თითქმის სამი დღე და ღამე ვემალებოდი მტრებსა.

— ეგ მართალი არ არის, ბატონი რეგენტი სტყუის,—შეჰყვირა რადოსლავოვმა, რომელიც გაცხარებული წამოხტა თავის ადგილიდამ, როცა ეს ამბავი გაიგონა.

ამ დროს წამოდგა ზაქარია სტოიანოვი და სთქვა, რომ სტამბულოვმა სრული სიმართლე სთქვა, მე თვითონ დავიფარე და დავმალე რეგენტი ყაზარმებშიო. ვინ იცის, იქნება გამოქცევა რომ არ მოესწრო თავის სახლიდამ, კიდეც მოეკლათ შეთქმულთა და დატუსაღებით ხომ უთუოდ დაატუსაღებდნენო.

სტამბულოვმა კვლავ მიჰმართა ამ ამბის გაგონებით შეწუხებულს კრებას და სთქვა:

თქვენ თვითონ მოისმინეთ, ბატონებო, რა სიტყვებით მომიხსენია მინისტრთა საბჭოს თავ-მჯდომარემ რადოსლავოვმა. აი ეგრე გვექცევიან უმაღლესის მთავრობის წარმომადგენელთ, რომელთაც მინდობილი აქვს თქვენგან, ჰმართოს ქვეყანა.

ამაზე რადოსლავოვი მოთმინებიდამ გამოვიდა და უფრო მკვახე სიტყვები ჰკადრა რეგენტსა. კრება დაიხურა და მეორე დღეს რეგენტებმა სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი შეიტანეს, მაგრამ რადგან ურეგენტობა არ იქნებოდა, ისევ სამინისტრომ შეიტანა სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი. ახალის კაბინეტის შედგენა მიანდეს ექიმს სტრანსკის.

# რუსეთი

— განზრახვა აქვთ, რომ შესცვალონ ეხლანდელი წესი ფულების გზავნისა ფოსტითა. ეხლანდელის წესით ფულების გაგზავნას დიდი დრო უნდება და საზოგადოდ ძალიან უხერხულად არის მოწყობილი ეს საქმე. ფიქრადა აქვთ, რომ ფულების გამგზავნი მივიდეს ფოსტაში, გადასცეს ფული და შეატყობინოს ადრესი იმისი, ვინც ფული უნდა მიიღოს. შემდეგ თეით ფოსტამ უნდა იტვირთოს ფულების გაგზავნა.

— ზოგიერთს რკინის გზებს რუსეთში საკმაოდ დაუკლიათ ფასი 1 და 2 კლასის ბილეთებისა იმათთვის, ვინც წავა იაროსლავს საარხეოლოგიო კრებაზე, რომელიც აგვისტოში შესდგება. მხოლოდ ნიკოლაევის გზას გულ-გრილად მიუღია ასეთი წინადადება და არ უნდა ფასი დაუკლოს, თუმცა მომეტებულ ნაწილს სწავლულთა უფრო ამ გზით მოუხდებათ წასვლა კრებაზეო.

— გაზეთი „Новости" ამბობს, რომ იმ კანონის გამო, რომელიც უცხოელთა შესახებ გამოიცა, რუსეთის ქვეშევრდომობას იღებენ ზოგიერთი სავაჭრო დაწესებულებანიც-კი, რომელთაც გერმანული სახელ-წოდება ჰქონდათო. მაგალითად, ამას წინად ლოძის ქალაქში საუკეთესო სასტუმრომ „Hotel Manteufel" გამოიცვალა სახელი და „Grand-Hotel"-ი დაირქვაო.

— ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს ბაჟი დაადოს ჩაისა და ზოგიერთს სხვა სავაჭრო საქონელსაც, რომელიც სამზღვარ-გარეთიდამ მოდიოდა და რომელსაც ბაჟი არ ედოვო.

— გაზ. «Московскія Вѣдомости» ამბობს, რომ, რადგან სამღვდელოებას მცირე პენსია დაენიშნებათ ხოლმე და მოხუცებაში მღვდლები დიდს სიღარიბეში სცვივიან, ზოგიერთს ეპარქიაში განზრახვა აქვთ ითხოვონ, რომ საეპარქიო დამხმარებელი კასსები დაარსდესო.

# უცხოეთი

ბოლგარია. ვენიდგან დეპეშით აცნობებენ „Journal des Débats"-ს შემდეგს: „როგორც სადიპლომატიო წრეებში ლაპარაკობენ, დიდმა ვეზირმა, ავსტრო-უნგრიის ელჩთან საუბარში, სთქვა: სულთანმა გადასწყვიტა ბოლგარიის მთავრად არ დაამტკიცოს პრინცი ფერდინანდი, თუ რუსეთმა თავისი თანხმობა არ გამოაცხადა ამ არჩევანის შესახებაო".

ვენიდგან დეპეშით აუწყებენ „Berl. Tageblatt"-ს, რომ პრინცი ფერდინანდი ეხლა იმას ჰფიქრობს: ფორმალური უარი თქვას მთავრობაზე, თუ თავისუფლად სცნოს თავი იმ ორ-აზროვან სიტყვის ძალით, რომელიც იმან წარმოსთქვა, როცა მთავრად აირჩიეს.

იტალიიდამ სწერენ „Matin"-ს: აქაური გაზეთებს კობურგის საქმე უკვე გადაწყვეტილ საქმედ მიაჩნიათ. ამ ცოტას ხანში, როგორც ფიქრობენ, ბოლგარიას თავისუფალ სახელმწიფოდ გამოაცხადებენ და მთავრად აირჩევენ ისევე პრინცს ბატტენბერგს. ამ ამბავს ძალიან დაუფიქრებია მთავრობა.

გაზეთი „Indép. Belge" გვატყობინებს, ვითომ რუსეთის ელჩმა სტამბოლში გამოუცხადა პრინცს კობურგისას, რომ რუსეთი არასოდეს არ დაამტკიცებს მას მთავრად, და ვითომ ამიტომაც პრინცმა ვერ გაჰბედა სოფიაში წასვლა.

იუწყებიან, ვითომ ბოლგარიის სარეგენტოს განზრახვა აქვს ბოლგარიის მთავრად მიიწვიოს ჰერცოგი ალანსონისა.

როგორც გაზეთი „Neue Freie Presse" ამბობს, კობურგის საქმე ჯერ-ჯერობით არ დასრულებულა და მოლაპარაკება სახელმწიფოთა შორის ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა.

„პრინცს კობურგისას, თუმცა ბოლგარიის დეპუტატები უკანვე დაბრუნდნენ, შეუწყვეტელი მიწერ-მოწერა აქვს სარეგენტოსთან. ეს მიწერ-მოწერა-კი ისეთი თვისებისა არ არის, რომ პრინცმა იმედი დაჰკარგოს იმ დრომდე, როცა იძულებული იქმნება ოფიციალური უარი სთქვას. დიპლომატიური მოლაპარაკება ფერდინანდის არჩევის შესახებ ჯერ არ დასრულებიათ, და იმის მდგომარეობა ჯერ იგივეა, თუმცა პრინცმა, როცა იგი მთავრად აირჩიეს, სხვა-და-სხვა პირობა მოისმინა, რომლის დარღვევა მას ვითომ არ შეუძლიან. პირ-იქით, პრინცს იმოდენად ძლიერი და გავლენიანი ნათესაობა ჰყავს, რომელსაც შეუძლიან შესაფერი ღონის-ძიება იხმაროს და ევროპა ფერდინანდის სასარგებლოდ ამოქმედოს. თვითონ პრინცი ისეთი კაცი არ არისო, სწერს იგივე გაზეთი, რომ პირველის გაჭირვებისათანავე უკან დაიხიოს და უარ-ჰყოს კარგად მოსაზრებული განზრახვა. იმის შესახებ, თუ რა განწყობილება ჩამოვარდა პრინცისა და ბოლგარიის დეპუტატთა შორის, ბევრი უსაფუძვლო ხმა გაავრცელესო; მაგრამ ის გარემოება, რომ პრინცს მიწერ-მოწერა არ შეუწყვეტია სოფიის მთავრობასთან, გვიმტკიცებს, რომ დეპუტატებს ცუდი აზრი არ შეუდგენიათ პრინც კობურგის შესახებ".

ოსმალეთი. სომხეთში და ქურთისტანში დიდი სისხლის ღვრაა თურმე ქურთის თემთა შორის. ძლიერმა თემმა ქურთებისამ (გამავენდი) სრულიად გაანადგურა „მოსულის" მხარე; იმით დასამშვიდებლად მოწვეულ იქმნა დიდი ძალი ჯარი. ვანის მაზრაში ორ თემთა შუა მოხდა შეტაკება, რომლის მოსასპობლად გუბერნატორმა გაგზავნა ჯარები ჰკალიბ-ფაშის ხელ-ქვეითობით.

# წვრილი ამბები

— კატანიაში ამ ჟამად ხოლერაა გავრცელებული. გაზ. „Malburgep Correspondent"-ში აი ერთი რა წერილია დაბეჭდილი იმის თაობაზედ, თუ როგორს მდგომარეობაში არიან მკვიდრნი ხოლერის გამო: „აქ ყველანი შეშინებულნი არიან ხოლერის გამო და ნახევარი მკვიდრთა დაიფანტა და გაიხიზნა. ყველაზედ დიდ სავაჭრო სახლებმა თავის კანტორები დაჰკეტეს. სოფლელთ აღარ ჩამოაქვთ ქალაქში ათას გვარი სურსათი და სანოვაგე უწინდელისამებრ; ჩვენის გზის მატარებელიც-კი სულ რამდენსამე წუთს შედგება ხოლმე სადგურებზედ და რაც შეიძლება წასვლასა ჩქარობს. მთელი კატანია ვერანად არის ქცეული, რადგან ყავახანებიც-კი დაჰკეტეს და ხელოსნებიც-კი [illegible] და [illegible]ნენო".

— დოქტორ[illegible] ლევია და ამტკიცებს, რომ იურისტთა შვილები უფრო ნიჭიერნი გამოდიან სხვა ხელობის შვილებზეო და სულელებს მათ შორის უფრო იშვიათად შეჰხვდებითო; მეორე ადგილი ნიჭიერ ყმაწვილებთა შორის ექიმთა შვილებს უჭირავთ და ყველაზედ უკანასკნელი ადგილი-კი სასულიერო წოდებას შვილებთაო; ყველაზედ მეტ სულელ და გონებითად მახინჯ ყმაწვილებს სასულიერო წოდების შვილებში შეჰხვდებითო. მაგალითებრ, სასულიერო წოდების შვილებში ექვსჯერ უფრო მეტია სულელები და გონებით მახინჯნი, ვიდრე იურისტთა შვილებს შორისო.

— ლონდონში ამ ჟამად ერთს ქალს მთელის საზოგადოების ყურადღება მიუქცევია. ეს ქალი მისს მალლერშია და განცხადებებში ასე აცნობებს თურმე თავს საზოგადოებასა: „დედაკაც-თევზ-მჭამელი". ეს ქალი წარმოდგენებსა ჰმართავს და დიდ-ძალს ხალხს იზიდავს თურმე. წარმოდგენის დროს კისერზედ პატარა მაყალსა და ქვაბს იკიდებს, ჩადის წყლით სავსე აუზში და იქ სპირტითა ჰხარშავს თურმე ბივშტეკს, კარტოფილს, ძეხვს და სხვ. და მერე საზოგადოებას უმასპინძლდება ამ თავის მიერ წყალში მოხარშულის საჭმლით.

# განსართობი

მოტყუებული პოლიციის მოხელე. პარიჟის პოლიციაში ამას წინად მიუღიათ ერთის სახლის ყარაულისაგან წერილი, რომ ჩვენის სახლიდგან ერთი მდგმური გაჰქრა და იმის მიერ დატოვებულს სახლში ერთის უცნობ ქალის მოჭრილი თავი ვიპოვნეთო. ეს სახლი იმყოფება „de l'Ouest"-ის ქუჩაზეო.

პოლიციის მოხელე ძალიან აღელდა თურმე ამ ამბავზედ.

— ძლივსაო,—დაიძახა თურმე,—ძლივს ჩავიგდეთ ხელში ის ავაზაკიო. ამას წინად ერთი ნაკუწ-ნაკუწად ნაჭრევი ქალი ვიპოვნეთ მორგის ქუჩაზედ და ამ ქალს თავი აკლდა; უეჭველია ქალის მკვლელი ეგ ვაჟბატონი იქნებაო.

მაგრამ, საუბედუროდ, პატივცემულს პოლიციის მოხელეს არ გაუმართლდა თურმე იმედი! დაუყოვნებლივ გამომძიებელი იქმნა დანიშნული ამ საქმეზე და აღმოჩნდა, რომ ის თავი სამკურნალოდგან იყო წაღებული და წამღები საექიმო აკადემიის სტუდენტი ყოფილიყო. დავიწყებოდა სტუდენტს ეს თავი, თუ განგებ გაუშვა, არავინ იცის. ამ თავზედ ატეხილ ერთმა ამბავმა და გამომძიებამ არავითარიმე შედეგი არ იქონია თურმე და გაბრაზებული პოლიციის მოხელე ამბობდა, რომ ამისთანა ახირებულს საქმეში კაცი თავს-კი არა, ტვინსაც დაჰკარგავსო.

**

ახირებული ანდერძი. 1887 წელს 17 ივნისს ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქ პიტტსბურგში გარდაიცვალა 52 წლის კაცი, ამბროზ რეტარგე, და აი რა ახირებული ანდერძი დაუტოვებია: „მე მინდა, რომ ჩემი გვამი წმ. მიხეილის ეკკლესიაში გაასვენონ და ანდერძის აგების შემდეგ ჩემს ოჯახობას დაუბრუნონ. ჩემმა ოჯახმა ჩემი გვამი უნდა წაიღოს სამხრეთის მიცვალებულთა დასაწვავ ბუხარში და იქ მისცეს დასაწვავად. შემდეგ ჩემის გვამის ფერფლი ჩაყარონ პატარა შუშაში და გერმანიის ელჩს მისცენ პიტტს-

ზურგში. ელჩმა ეს შუშა ნიუ-იორკის ელჩს უნდა გაუგზავნოს და იმან კიდევ გერმანულ გემის „ელბა"-ს კაპიტანს გადასცეს; როცა კაპიტანი თავის გემით შუა-ზღვაში გავა, ერთს თავის მატროსს მისცეს ეს ფერფლიანი შუშა, ავიდეს ანძაზედ ეს მატროსი, ლოცვა სთქვას, აჭყანდოს შუშას თავი და ჩემი ფერფლი ქარს მისცეს ოთხივ-კუთხივ"-აო.

# დეპეშა

21 ივლისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია ახალი დადგინება სახელმწიფო რჩევისა იმის თაობაზედ, რომ ობენისეის არხი დასრულებულ იქმნა. გამოცხადებულია აგრეთვე, თუ რა წესით და რამდენი გადასახადი ფული გადაახდევინონ თერგისა და ყუბანის მაზრებისა და კავკასიის აქეთა მხარის მუსულმანთა მცხოვრებლებს სამხედრო ბეგარის მაგიერ.

სოფია. როგორც ისმის, რუსეთის ელჩი სტამბოლში ისევე იმ აზრს ადგია, რომ დანიშნულ იქმნას ერთი რეგენტი, რომელმაც უნდა დაითხოვოს საერო კრება და დანიშნოს ახალი არჩევანი.

ბელგრადი. მეფე მემკვიდრითურთ მიდის შმეკში, ვენგრიაში; დედოფალი მოვიდა არანგელოვციდგან, რათა მეუღლეს და შვილს გამოემშვიდობოს.

დანიშნულია კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს ახალი პროექტი კონსტიტუციისა.

22 ივლისი

პეტერბურგი. დღეს მის დიდებულების იმპერატრიცისა და მათ უმაღლესობათა მარია პავლეს ასულისა და მარია ალექსანდრეს ასულის სახელწოდებათა დღესასწაულის გამო ყველა სასწავლებელთა ვოსკრესენსკის სობოროში, ლიტურღიის შემდეგ, გადაიხადეს პარაკლისი. ქალაქი ბაირაღებით მორთულია, და საღამოს-კი გაჩირაღდნებული იქმნება.

გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული აზრი იმის თაობაზედ, რომ სახელმწიფო გლეხებად ნამყოფთ აღეკრძალება გაჰყიდონ სოფლეულად მიცემული ტყეები და აგრეთვე დამატებით მიცემული საკომლო მამულები. აღეკრძალება აგრეთვე ისა, რომ გაჰყიდონ ის ხე-ტყე, რომელიც ამ მამულებზე იზრდება.

უმაღლესის ბრძანების ძალით უნდა გამოეცხადოს «რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოებას», რომ ფასი მანძილის მიხედვით, როგორც დღემდის არსებობდა, მოსპობილ იქმნებაო.

როგორც გაზეთები იუწყებიან, საფინანსო სამინისტროში აღძრულია ლაპარაკი იმის თაობაზედ, რომ მიემატოს საბაჟო გადასახადი რკინის-გზის ყველა ვაგონებზე, რომლებიც საზღვარ-გარეთიდგან შემოაქვთ.

მოსკოვი. გუშინ წმ. სერგის ეკკლესიაში დიდს დმიტროვკაში, „მოსკოვის უწყებათა" თანამშრომელთა და საუნივერსიტეტო სტამბაში მოსამსახურეთა, გადაიხადეს პანაშვიდი მიხეილ ნიკიფორის ძის კატკოვის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადაიხადა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ადგილობრივ სამღვდელოებითურთ. მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ მოკლე სიტყვაში მოიხსენია, რომ განსვენებულმა საძირკველი დაუდო ნამდვილს რუსულს მიმართულებას, რომელიც აღთქმად უნდა შეიქმნეს ყველა ცოცხალთათვის. ეკლესია სავსე იყო მლოცველებით. მიცვალებულს ანდერძს აუგებენ ცესარევიჩის ნიკოლოზის ლიცეის ეკკლესიაში და დაასაფლავებენ ალექსეიევსკი მონასტერში.

23 ივლისი

პეტერბურგი. დღეს აქაურის „სლავიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოების" თაოსნობით ყაზანის ტაძარში წირვა იყო გადახდილი და წირვის შემდეგ პანაშვიდი მიხეილ ნიკიფორეს. ძის კატკოვის მოსახსენებლად. დღესვე პეტერბურგის ებრაელთა საზოგადოება გადაიხდის პანაშვიდს სინაგოგაში კატკოვის მოსახსენებლად.

მიღებულ იქმნა დეპეშები ნიჟნი-ნოვგოროდიდამ, კალუგიდამ და სხვა ქალაქებიდამ: იწერებიან რომ პანაშვიდი გადავიხადეთ კატკოვის მოსახსენებლადაო.

მოსკოვი. 22 ივლისს, სოფელ ზნამენსკაში მიცვალებულის მ. ნ. კატკოვის სახლში დღეს გადახდილ იქმნა სამი პანაშვიდი ნათესავთა, „Моск. Вѣд."-ის თანამშრომელთა, ცესარევიჩი ნიკოლოზის ლიცეაში მოსამსახურეთა და მიცვალებულის მრავალთა პატივისმცემელთა თანადასწრებითა.

გუშინ გასჭრეს და შეჰმურეს გვამი მ. ნ. კატკოვისა პროფესორმა ნეიდინგმა და კლეინმა. აღმოჩნდა, რომ სიკვდილის მიზეზი ყოფილა მჭამელი სენი კუჭისა (ракъ желудка). ეს სენი ძრიელ გასძრიელებია და ახლო-მახლო ორგანოებშიაც გადასულა; შედედებული სისხლი ძოჰხვედრია გულს, იქიდამ სისხლის მილებსა და შეუყენებია დენა სისხლისა. დაბოლაც ამ მიზეზით მოსვლია. გვამი მიცვალებულისა ასვენია საზაფხულო სახლის განაპირა დარბაზში ტაბლაკზე; ტაბლაკის გარეშემო თბილ ქვეყნების ძცენარენი და ხეები სდგას; ფეხთით რამდენიმე გვირგვინი უწყვია თანამშრომელთა და ლიცეისა. სახე მცირედ შეშლია, დამშვიდებია და მეტად დადინჯებია. ხვალ, საღამოს 8 საათზედ გამოასვენებენ ცხედარს სოფელ ზნამენსკიდამ ცესარევიჩ ნიკოლოზის ეკკლესიაში. საუნივერსიტეტო სტამბაში მოსამსახურეთ გვირგვინი დაადვეს კუბოს და ისურვეს ცხედარს ხელით წავასვენებთ ზნამენსკიდამ ლიცეამდე 25 ვერსის მანძილზედ. ცხედარს დაასვენებენ ეკკლესიაში შაბათამდე. შაბათს დილით ანდერძს აუგებენ და მიწას მიაბარებენ ალექსეევის მონასტერში.

პარიჟი, საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობის წარმომადგენელთა საზოგადოება გაჰგზავნის დეპუტაციას კატკოვის დასაფლავებაზე დასასწრებლად და თან გვირგვინებს გაატანს. გამგე კომიტეტმა პატრიოტების საზოგადოებისამ მიანდო დერულედს დაესწროს კატკოვის დასაფლავებას, როგორც წარმომადგენელი კომიტეტისა.

ვენა. პრინცი კობურგისა ჯერ არ წასულა ბოლგარიაში; არ წასულა ბოლგარიაში აგრეთვე ნაჩევიჩიცა. ნაჩევიჩს უნდა რამდენიმე დღე დარჩეს კიდევ ვენაში. სტრანსკი წავიდა ვენიდამ სამშაბათს საღამოს.

სიმლა. მთავარ-სარდალმა ემირის ჯარებისამ გოლამ-ჰაიდერ-ხანმა და სკანდერ-ხანმა უკან დაიწიეს თავიანთ ჯარებით კელატისაკენ გილზაიაში. ასე ჰგონებენ, ვითომ ეს უკან დაწევა ემირის ჯარებისა იმისი ნიშანია, რომ სარდალს არ შეუძლიან ებრძოლოს აჯანყებულთ პირისპირ გაშლილ მინდორზედაო.

პეტერბურგის ბირჟა, 17-ს ივლისს

ფასები:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 34 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 182½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . | — › | — › | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . . | — › | — » | 259½ |
| — მეორისა . . . . | — › | — › | 248½ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | 99 | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 99 | — › | — › |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — › | — › | 83¾ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

მკათათვე 31 დღით არის

24 დღე პარასკევი. ქალწ.-მოწ. ქრისტინასი. კათოლ. ქრისტინასი და ბენიამინასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—58, ჩადის 7—13. მთვარე 17 დღისაა.

25 დღე შაბათი. მიცვალება წმ. ღვთისმშობლის დედისა, წმ. ანნასი. კათოლ. იაკობისა და ქრისტეფორესი. სომეხ. წმიდათა შვილთა და შვილის-შვილთა წმ. გრიგოლ სომეხთ განმანათლებელისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—59, ჩადის 7—12. მთვარე 18 დღისაა.

26 დღე კვირა. წმ. ქალწ. - მოწ. პარასკევასი. კათოლ. ანნასი, ყოვლად წმ. ქალწ. მარიამისა და ერასტისა. სომეხ. მე-3 კვირა ფერის-ცვალებიდგან, ქორწინების ნება ეძლევათ. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—0, ჩადის 7—10. მთვარე 19 დღისაა.

27 დღე ორშაბათი. წმ. პანტელეიმონისა. კათოლ. ნატალიასი და პანტელეონისა. სომეხ. წმ. მოწ. მაკკაბელთა, ელიაზარ მღვდლისა, მოწ. სვიმონისა და მისთა 7 ყრმათა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 5—1, ჩადის 7—9. მთვარე 20 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | › |
| › 2 › | 2½ | |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | 5 | › |
| 1-ლის ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | › | › |
| მე-3 — . . | 7 | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 6 | › |
| › 2 › | 13 | › |
| სუკი. . . . | 8 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | › | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-[illegible] შორის გზით; პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შევლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია . | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღისით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

Дозв. цен. Тиф. 23 іюля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე